GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი/ Master in Public Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

საჯარო მმართველობის პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული საჯარო მოხელე, რომელსაც შესწევს უნარი განვითარებადი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე თავი გაართვას საჯარო მართვასთან დაკავშირებულ კომპლექსურ გამოწვევებს. პროგრამის კურსდამთამთავრებული იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ემპირიულ ცოდნას. მას გაცნობიერებული აქვს საჯარო პროფესიული სამსახურის პრინციპები: კანონიერება, ერთგულება, კანონის წინაშე თანასწორობა და შეუძლია საჯარო მმართველობა განახორციელოს ხარჯთეფექტურობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა წინაშე პასუხიმგებლობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საჯარო მმართველობის მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის

პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამდასტურებელი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS); გასაუბრება მიმღებ კომისიასთან, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის დასრულების შემდეგ მაგისტრი:

იცნობს საჯარო მმართველობის თეორიებს და ანსხვავებს მათ თავისებურებებს;
განმარტავს საჯარო პოლიტიკის დიზაინის და იმპლემენტაციის პროცედურას, წესსა და თავისებურებებს;
იცნობს კვლევის რაოდენობრივ დათვისებრივ მეთოდებს და შესაბამის ტექნიკებს, ერკვევა მათი გამოყენების სპეციფიკაში;ისტრირების პროცესში;
ხსნის მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებს საჯარო პოლიტიკის/ადმინისტრირების ანალიზის და განსაზღვრის მიზნით;ითვალისწინებს მდგრადი განვითარების გამოწვევებს საჯარო მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში;
განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და ადგენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების გამოწვევებს;
აღწერს საჯარო ფინანსების ფორმირების წესს და სახ-ო ბიუჯეტირების მექანიზმებს.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი დამოუკიდებლად:

განსაზღვრავს და გეგმავს დამოუკიდებელი სწავლის პროცესს;
იყენებს მეორად ლიტერატურას და თვისებრივი და რაოდენობრივ მეთოდებს ახალი ცოდნის შესაქმნელად ;
იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას საჯარო მმართველობითი გამოწვევების დაძლევის მიზნით;
იძიებს ადეკვატურ სასწავლო/ინფორმაციულ რესურსებს და სწორად იყენებს მას.

აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს როგორც წერილობით, ისე, ვერბალურად;
აქვს ეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს საკუთარი მოსაზრების გადმოცემის მიზნით;
გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებას როგორც წერილობით ასევე ვერბალურად მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი:

ასკვნის საჯარო მმართველობითი სისტემის განვითარების საუკეთესო მოდელს;

განსაზღვრავს საუკეთესო ალტერნატივას ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთებითა და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით;

ასაბუთებს შეჯამებულ მოსაზრებას ემპირიული კვლევების საფუძველზე ;

სინთეზურად სჯის და კრიტიკულად აანალიზებს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და იყენებს მას საჯარო ადმინისტრირების პროცესში.

ახდენს საჯარო მმართველობის გამოწვევების იდენტიფიცირებას და იყენებს პრობლემის გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებს
იყენებს კანონმდებლობას საჯარო მმართველობით პროცესში;
ანგარიშობს ფინანსურ და ეკონომიკურ დანახარჯებს სახ-ო პოლიტიკის და საჯარო ადმინისტრირების განხორციელების დროს;
ადგენს პოლიტიკის დოკუმენტს და წარადგენს მას;
იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და საჯარო ადმინისტრირების განხორციელების მიზნით;
იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას ეროვნული საჯარო მმართველობითი გამოწვევების მოგვარების მიზნით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტს;
პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით;
მოქმედებს სოციალური პასუხისგებლობით და სამოქალაქო თვითშეგნებით;
ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესებს და ღირებულებებს საჯარო მმართველობით პროცესებში;
იცავს სამეცნიერო კვლევით ეთიკას;
იცავს მოქალაქეებთან ურთიერთობის მაღალ სტანდარტს

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა; სიმულაცია და სხვ).

შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში და ასევე კერძო სექტორშიც. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან დასაქმდნენ საჯარო სამსახურში სხვადასხვა მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენ-ციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტე-რული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვა-ნელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

<u>პროგრამის ხელმძღვანელი:</u>

ნანა მაჭარაშვილი
პროფესორი

იეთიმ გურჯის #7ბ

თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: (995 593) 48 82 11
e-Mail: nana.matsarashvili@gipa.ge

პროგრამის სტრუქტურის აღწერა

სამაგისტრო პროგრამა ორ წლიანია და სასწავლო წესით განსაზღვრული 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სავალდებულო სასწავლო კრედიტების ჯამი შეადგენს 56 ECTS-ს, სავალდებულო სტაჟირება 15-ს და სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS-ს. ხოლო დარჩენილ 19 კრედიტს სტუდენტი აგროვებს არჩევით საგნების მეშვეობით.

სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა თუმცა, პროგრამაზე სწავლის პერიოდში რეკომენდირებულია კრედიტების დაგროვების შემდეგი მეთოდი: სტუდენტი პირველ და მეორე სასწავლო სემესტრში აგროვებს 56 ECTS დან 65 ECTS-მდე მოცულობით კრედიტს. მესამე სემესტრში სტუდენტმა უნდა გაიაროს სავალდებულო სტაჟირება და არჩევით პოლიტიკის ლაბორატორიის პრაქტიკული კურსს (ჯამში 25 ECTS) ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტში (ვროცლავის უნივერსიტეტი, ჰამბურგის უნივერსიტეტი , ზალცბურგის უნივერსიტეტი , ბრატისლავას ეკონომიკური უნივერსიტეტი) გაიაროს სავალდებულო სტაჟირება (15ECTS) და დააგროვოს მინიმუმ 10 ECTS არჩევითი კრედიტი. მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს სადიპლომო ნაშრომს რომლის დაცვის შემდეგადაც მას მიენიჭება მაგისტრის ხარისხი.

საჯარო მმართველობის პროგრამაზე კრედიტების დაგროვების რეკომენდირებული სქემა



საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[1]	
				I წელი		II წელი			
				სემესტრი					
				I	II	III	IV	საკონტაქტო საათები[2]	დამოუკიდებელი საათები[3]
			სასწავლო კომპონენტი[4]						
			სავალდებულო სასწავლო კურსები	**31**	**25**	**25**	**30**		
1.	PA 565	არ გააჩნია	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია	7/175				48	127
2.	PA568	არ გააჩნია	საჯარო სამართლის საფუძვლები	7/175				48	127
3.	PA569	არ გააჩნია	აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი	4/100				30	70
4.	Econ519	არ გააჩნია	ეკონომიკის საფუძვლები	5/125				36	89
5.		არ გააჩნია	ადამიანის უფლებები და საჯარო მმართველობა	5/100				36	89
6.			სახელმწიფო რისკების მართვა	4/100				30	70
7.	PP750	არ გააჩნია	საჯარო ფინანსები / საგადასახადო პოლიტიკა		5/125			36	89
8.	Mgt525	არ გააჩნია	ეფექტური კომუნიკაცია საჯარო სამსახურში		4/100			30	70
9.	Stat506	არ გააჩნია	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები საჯარო მოხელეებისათვის		7/175			48	127
10.	SD2	Econ519	მდგრადი განვითარება და მმართველობის გამოწვევები		5/100			36	64
11.		არ გააჩნია	პოლიტიკა, პოლიტიკური პროცესი		5/100			30	70
			არჩევითი სასწავლო კურსები (II , III და IV სემესტრში)		**9**	**25**	**30**		
1.	Mgt510	PA 565	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში		5/125		5/125	30	70

[1] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[2] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[3] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

[4] საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

2.		არ გააჩნია	პოლიტიკური ფიქრი და კინო					36	89
3.	IR685	არ გააჩნია	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატო-ში ინტეგრაცია					36	89
4.	Dev509	არ გააჩნია	კულტურული მემკვიდრეობის მართვა				5/125	30	95
5.	Mgt541	არ გააჩნია	არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა				4/100	36	64
6.	EG025	PA 565; PA568	ელექტრონული მმართველობა და სერვისები საჯარო სექტორში				5/125	30	95
7.	IR501	არ გააჩნია	მოლაპარაკების ხელოვნება და მართვა				4/100	30	70
8.	PP-a-003	არ გააჩნია	საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევები				5/125	30	95
9.	PP-a-004	არ გააჩნია	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება				5/125	36	89
10.	pp-a-005	PA565; Econ 519;pp520; stat 506	რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)			5/125		36	89
			პრაქტიკული კომპონენტი			**25**			
1.	PRT523	PA 565 PA568 PA569 Econ519 PP750 Mgt525 Stat506 PP520 IR685 SD2	სასწავლო პრაქტიკა			15			
2	Lab 003	PA 565; PA568; PA569; Econ519; PP750; Stat506; SD2	პოლიტიკის laboratory			5			
3.		PA 565; PA568; PA569; Econ519; PP750; Stat506; SD2	პოლიტიკის laboratory			5			
						25	**30**		
			კვლევითი კომპონენტი						
1.		PA 565; PA568; PA569; Econ519; PP750; Stat506; SD2	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30		

		არჩევითი სასწავლო კურსები						
1.	Lab 003	პოლიტიკის ლაბორატორია	X	X	X	X	X	X
2.	Mgt510	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	X	X	X		X	
3.	Dev509	კულტურული მემკვიდრეობის მართვა	X		X	X	X	X
4.	Mgt541	არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა	X	X	X	X		X
5.	EG025	ელექტრონული მმართველობა და სერვისები საჯარო სექტორში	X	X	X	X	X	
6.	IR501	მოლაპარაკების ხელოვნება და მართვა	X	X	X	X		X
7.	STM224	სახელმწიფო რისკების მართვა	X	X	X	X	X	X
8.	PP-a-003	საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევევი	X	X	X	X	X	X
9.	PP-a-004	პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება	X	X	X	X		X
10.	pp-a-005	რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)	X	X	X	X	X	X
11.	IR685	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატოში ინტეგრაცია						
12.		პოლიტიკური ფიქრი და კინო						

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ნანა მაჭარაშვილი
თანამდებობა	პროფესორი
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: 593488211 ელ-ფოსტა: nana.macharashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	ეროვნული შერიგების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს შემთხვევის ანალიზი (2007, თსუ) საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება, საჯარო სექტორის რეფორმირების წარმატების საფუძვლები, საჯარო სექტორის რეფორმირების ჩარჩოები - ახალი საჯარო მენეჯმენტიდან საჯარო მმართველობამდე, საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო პოლიტიკის პროცესში და პოლიტიკის ადვოკატირების სტრატეგიები.
პუბლიკაციები	1. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, From Policy to Action: Assessing the European Union's Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuliding Special Issue (in proceeding) 2. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi,Problems of Post-Communism 3. DOI: 10.1080/10758216.2017.1308228 4. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages). file:///C:/Users/User/Downloads/Macharashvili_2015_Policy%20Advocacy%20Success%20in%20Georgia_eng.pdf 5. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in *Community Development Journal* (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011)Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. *Center of Training and*

Consultancy. 2010
6. Macharashvili N. (2010) Public Sector Reforming in Georgia: Consumer oriented models VS citizen engagement. Annual Publication. *Center of Training and Consultancy*. 2009.
7. Macharashvili N. (ed.). (2009) Textbook Materials in Public Policy and Policymaking. Institute of Political Science.
8. Macharashvili N (2008), The Prospects for The New Public Management Model in contemporary Georgia. Tbilisi: *Georgian Political Science Quarterly*. Institute of Political Science.
9. Macharashvili N (2007), National Reconciliation as the toll for Peace building and Reaching National Consensus in the Post conflict Society, Tbilisi: Institute of Political Science.
10. Macharashvili, (2007), Georgia Following International Experience of National Reconciliation by Rejecting the Retributive Model? The *CA&CC Press® AB/Central Asia & Central Caucasus Press AB/*,* THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4).
11. Macharashvili N., (2007), Political Forum: 15 years of Independence. *Politics and Society*, Caucasus institute for Pease, Democracy and Development, Tbilisi.. http://www.cipdd.org/files/7_284_473910_Politfor.pdf
12. Macharashvili N., (2006*) Policy Analysis*, Textbook for Advanced Master Course in Policy Analysis, Center for Social Science. Tbilisi.
13. Macharashvili N., (2005), "International Experience of National Reconciliation: Which Model Will Georgia Choose?", *Tselitsdeuli - Year-Book of the Institute of Political Sciences of Academy of Georgia.*
14. Macharashvili N., (2004), „Spanish Experience of National Reconciliation Process". *Politica*, Vol..5-6.
15. Macharashvili N., (2001), „International Experience of National Reconciliation Process and Georgia". *Political Technologies,* Vol.1.
16. Macharashvili N., (2000), „Human Rights Defending in Georgia", Book chapter, POLITOLOGIA. Course Matherial Collection. Tbilisi.
17. Macharashvili N., (1998), Compromise as the fenomena of Political Culture, Collection of Students' resarch papers dedicated to the cultural history and theory issues, Tbilisi.

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია საჯარო პოლიტიკის ანალიზი და განხორციელება
2.	დავით ჯანდიერი	პროფესორი	საჯარო სამართლის საფუძვლები
3.	თამთა ჭრიკიშვილი	მოწვეული ლექტორი	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში
4.	ცირა ელისაშვილი	პროფესორი	კულტურული მემკვიდრეობის მართვა
5.	ნათია იაკობიძე	ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
6.	ცისანა ხუნდაძე / ჟანა ანთია	პროფესორი/ ასისტენტი	სტატისტიკა საჯარო მოხელეებისათვის
7.	ლიზა სოფრომაძე	პროფესორი	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია
9.	დავით კიზირია	მოწვეული ლექტორი	ელექტრონული მმართველობა და სერვისები საჯარო სექტორში
10.	არჩილ გერსამია	პროფესორი	საჯარო ფინანსები / საგადასახადო პოლიტიკა
11.	ანანო გორგოძე	პროფესორი/ასისტენტი	ეფექტური კომუნიკაცია საჯარო სამსახურში

12.	თამარ კობერიძე	მოწვეული ლექტორი	არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა პოლიტიკური ლობიზმი და ადვოკატირება
13.	თენგიზ ფხალაძე	მოწვეული ლექტორი	მოლაპარაკების ხელოვნება და მართვა
14.	მიხეილ დარჩიაშვილი	პროფესორი	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფთხოება და ნატოში ინტეგრაცია
15.	ნიკოლოზ ჯანჯღავა	მოწვეული ლექტორი	სახელმწიფო რისკების მართვა
16.	ნატალია ალხაზიშვილი	ასისტანტ პროფესორი	მდგრადი განვითარება და მმართველობის გამოწვევები
17.	თამარ ჟვანია	მოწვეული ლექტორი	საარჩევნო ტექნოლოგიები და პოლიტიკური კვლევევი
18.	ნინო ლოლაძე	მოწვეული ლექტორი	რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)
19.	გიორგი მარგველაშვილი	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკა, პოლიტიკური პროცესი
20.	კონსტანტინე ერისთავი	მოწვეული ლექტორი	ადამიანის უფლებები და საჯარო მმართველობა
21.	თეა ყანდიაშვილი	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკური ფიქრი და კინო
22.	ეკატერინე ჭავჭანიძე	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკური ფიქრი და კინო